ავტობიოგრაფია

პირადი ინფორმაცია:
დავიბადე 1978 წლის 11 იანვარს, ქ. ხაშურში;

განათლება:
1995 წელს წარჩინებით დავამთავრე ქარელის რაიონის სოფელ აბისის საშუალო სკოლა;
2000 წელს წარჩინებით დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;
2003 წელს წარჩინებით დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურა (სამოქალაქო სამართლის კათედრა);
2006 წელს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში სამოქალაქო სამართლის სპეციალობაზე, ვმუშაობდი თემაზე ,,სამოქალაქო უფლებათა დაცვა'';
ჟურნალ სამართალში გამოქვეყნებული მაქვს სტატია ,,მტკიცებულებათა შეფასება'';
ვარ საერთო სასამართლოების მოხელეთა ეთიკის კოდექსისა და მისი კომენტარების ერთ-ერთი ავტორი;
ვარ 2010 წელს გამოცემული წიგნის ,,პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციულ საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლისათვის'' ერთ-ერთი თანააავტორი;

სამუშაო გამოცდილება:
2000-2002 წლებში ვმუშაობდი ქარელის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის თანაშემწედ სამართლებრივ საკითხებში;
2002-2003 წლებში ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში მოსამართლის თანაშემწედ;
2003-2007 წლებში ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსად;
2007 წელს (ივნისიდან ნოემბრამდე) ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის თავმჯდომარის თანაშემწედ;
2007-2012 წლებში ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
2010-2012 წლებში მივლინებული ვიყავი თბილისის სააპელაციო სასამართლოში;
2012-2017 წლებში ვიყავი თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე;
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ;
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე დავინიშნე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.